PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირაკლი სალუქვაძე

წევრები:

თამარ ახალაძე

ნია გუგუნავა

(თბილისი, 2020)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის MES 7 20 0000502076 (ცვლილება 2020 წლის 23 ივნისის MES 6 20 0000508510) ბრძანების შესაბამისად, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში წარიმართა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება, „ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი შესაბამისი დანართებით, რომლის შედეგების მიხედვით დამატებით გამოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია. 2020 წლის 14 ივლისს შედგა ონლაინ ჩართვა, წინასწარ შედგენილი გასაუბრების განრიგის მიხედვით. ჩართვაში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის ადმინისტრაციამ, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა. გასაუბრება წარიმართა მშვიდ გარემოში. გასაუბრების მიმდინარეობისას ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს დაუსვეს წინასწარი მოკვლევის შედეგად წარმოშობილი შეკითხვები და ასევე გააცნეს ქვესტანდარტის/ინდიკატორების მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ადამიანური და მატერიალური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდანაც, რომ უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები. გასაუბრების პერიოდში ექსპერტებმა გამოითხოვეს ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით გასწორებული პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს გონივრულ ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

- პროფესიულ მოდულებში სასწავლო რესურსების ნაწილში გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ ზოგადი ჩანაწერის ნაცვლად კონკრეტული ავტორები და სახელწოდებები მიეთითოს, ისე როგორც მოდულის ეს სხვა სახელმძღვანელოებზე აქვთ მითითებული.
- გასწორდეს მოდულში ჩანაწერი განხორციელების ადგილის შესახებ.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო B ტიპის გარემო განთავსდეს შენობის პირველ სართულზე.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ჩამოთვლილი რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისთვის განისაზღვროს რა ვადებში (თუ მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა) და რა ფორმით მიმართავს პროფესიული სტუდენტი განმეორებითი შეფასების მოთხოვნით, რაც დაეხმარება დაწესებულებას შეფასების პროცესის და რესურსების ორგანიზებაში;
- შეფასების რეგულაციაში განისაზღვროს ვინ, რა ფორმით, რა ვადაში და რა საშუალებებით ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ.

ექსპერტების მიერ მოკვლეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩამოთვლილი რეკომენდაციები გათვალისწინებულია შესაბამის რეგულაციებში ასახვის გზით.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

<u>დაწესებულებას მიეცა შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაცია:</u>

ინდიკატორი 2.2.1.1

უზრუნველყოს „ფერმერობის“ პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის საჭირო, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის N38 დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული, დარჩენილი აღჭურვილობების შესყიდვა, რაც დაგეგმილია დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით (გაეროს განვითარების ფონდი) და დონორის მიერ მიღება-ჩაბარებით გადმოცემის ბოლო ვადა მითითებულია 2020 წლის 12 ოქტომბერი. აღნიშნული როგორც კოლეჯის, ასევე ექსპერტების მიერ შეფასებულია როგორც მეტწილი შესაბამისობა.

<u>დაწესებულებას მიეცა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>

ინდიკატორი 2.4.1.2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ასამოქმედებელ მექანიზმებში დაამატოს პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დასრულების შესაძლებლობა იმ პროგრამაზე რომელზეც ჩაირიცხა, ვინაიდან კანონი პროფესიული განათლების შესახებ უშვებს პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დასრულებას იმ პროგრამაზე რომელზეც ჩაირიცხა.

ინდიკატორი 2.4.1.5

პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს კონკრეტული პროგრამას/მოდულს და მიეთითოს საწარმოს გამტარუნარიანობა თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს.

ინდიკატორი 2.4.2.1

თანხვედრაში მოიყვანოს "პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებით" და „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული ვადები პროფესიული სტუდენტისთვის მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებით.

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ აღმოფხვრას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებთან დაკავშრებით არსებული ტექნიკური უზუსტობები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გამოცდების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის ვადები თანხვედრაში მოიყვანოს პროფესიული სტუდენტისთვის მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებულ ვადებთან.

ინდიკატორი 2.4.2.2

ვინაიდან ფუნქცია მოვალეობებით პროგრამის ხელმძღვანელს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცესში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/იმ შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.

ინდიკატორი 2.4.2.4

რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფერმერობა
პროფესიული განათლების დონე	IV
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში / Secondary Vocational Qualification in Agriculture
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის №34 დადგენილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სენაკი, მშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2018 წლის 20 დეკემბრის აკადემიური საბჭოს N58 და N59 დადგენილებებით განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები. ამავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სასწავლო უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტად რჩება იმავე მიმართულების პროგრამები, რომლებსაც ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ახორციელებდა წლების განმავლობაში წარმატებულად, ჰყავს დასაქმების ან თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებლით კურსდამთავრებულები და გააჩნია შესაბამისი მატერიალური, ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსი. დაწესებულებას აქვს აღნიშნული მიმართულების საგნობრივ პროგრამის განხორციელების გამოცდილება და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სურს „ფერმერობის“ პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელება. პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ასევე ეფუძნება აგრარული მიმართულებით მოთხოვნად პროფესიების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებულ კვლევას, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში შესრულებულ იქნა ,,AFAD” არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას. ასევე უნივერსიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შრომის ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

2. „ფერმერობა“-ის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან (სარეგისტრაციო ნომრით 09114-პ). წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2 თავით, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება“-სთან.

3. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის N14 დადგენილებით დამტკიცებულია ,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ რომლის მიხედვითაც პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მიღებული სასწავლო და დამხმარე ფართების რაოდენობა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა. ასევე კონტიგენტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს შრომის ბაზრის და განათლების ბაზრის მოთხოვნებს. დაწესებულება იყენებს სწავლების ორცვლიან რეჟიმს. პროგრამის დამატების მიზნით ცენტრში წარმოდგენილი განაცხადის N14 დანართით განსაზღვრულია „ფერმერობის“ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება 30 პროფესიულ სტუდენტზე (ორი ცვლის გათვალისწინებით, თითო ცვლაში 15-15). დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით კვოტის ათვისებას გეგმავენ სხვადასხვა პერიოდის მიღებაზე.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

PDF Eraser Free

6. უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით აკადემიური საბჭო „ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს“; „ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს - აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - „ფერმერობა“ ასახავს პროგრამის შინაარსს და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფერმერობა“ შემუშავებულია „სოფლის მეურნეობის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე - 09114-3 და შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში „ცხოველური წარმოშობის პროდუქტის პირველადი მიღება და ხარისხის უზრუნველყოფის“ მოდულისთვის დარღვეული იყო წინაპირობა. ასევე, წინაპირობის მქონე მოდულების დაწყებამდე დამატებითი შეფასებისთვის შუალედი არ იყო განსაზღვრული შემდეგ მოდულებზე: „ნიადაგის დამუშავების საფუძვლები“, „თესლბრუნვა“, „თესვა და რგვა“, „მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა“, „მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა“. აღნიშნული მოდულების წინაპირობა არის „გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა“, რომელიც სასწავლო გეგმით სრულდება მე-6 სასწავლო კვირას, ხოლო ზემოთხსენებული მოდულების სწავლება იწყებოდა მომდევნო, მე-7 სასწავლო კვირას.

დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაწესებულებამ წარმოადგინა 2020 წლის 22 ივნისის აკადემიური საბჭოს N38 დადგენილება, რომლის მიხედვითაც ცვლილებები შეიტანა „ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში და აღმოფხვრა ზემოაღნიშნული უზუსტობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2018 წლის 20 დეკემბრის აკადემიური საბჭოს N58 დადგენილება
- 2018 წლის 20 დეკემბრის აკადემიური საბჭოს N59 დადგენილება
- უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- უნივერსიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

PDF Eraser Free

- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის N 14 დადგენილება ,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა/ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამა „ფერმერობა“
- 2020 წლის 22 ივნისის აკადემიური საბჭოს N38 დადგენილება
- მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტომასალა
- ინტერვიურება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

PDF Eraser Free

1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი წარმოდგენილია განაცხადის №4 დანართის სახით, სადაც მოცემულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი, რაოდენობა და მფლობელის შესახებ ინფორმაცია. დაწესებულებამ საჭირო აღჭურვილობის არსებობის დადასტურების მიზნით, წარმოადგინა ფოტომასალა და ძირითადი აქტივების საინვენტარო აღწერილობა. დაწესებულებას ზემოთხსენებულ დანართში ასევე მითითებული აქვს აღჭურვილობა, რომელიც დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით (გაეროს განვითარების ფონდი) უნდა იქნას შესყიდული და ამ ეტაპზე შეძენის პროცესშია. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია ასახულია შესაბამისობის გეგმაში როგორც მეტწილი შესაბამისობა, სადაც მითითებულია დარჩენილი აღჭურვილობების დონორის მიერ მიღება-ჩაბარებით გადმოცემის ბოლო ვადა - 2020 წლის 12 ოქტომბერი, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები. რადგან სასწავლო პროცესის დაწყება ნავარაუდევია 2020 წლის ოქტომბერში, დაწესებულება შეძლებს მითითებული აღჭურვილობების შესყიდვას და პროგრამის განხორციელებას სრულყოფილად. შესაბამისად, ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.

2-3. მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებულია წინასწარი დასაქმების კანდიდატის ხელშეკრულებები, რომლის 2.1 პუნქტით განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში აღნიშნულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება. „ფერმერობის“ პროგრამის განმახორციელებლების ჯამური რაოდენობაა 11, აქედან 8 პროფესიული მოდულების მასწავლებელია. შესაბამისად, უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. მათი პირადი საქმის შემადგენელი დიპლომები/სერთიფიკატები/ცნობები სამუშაო ადგილიდან ადასტურებს კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის N12 დადგენილებით დარეგულირებულია პროფესიული მასწავლებლის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი. აღნიშნული წესის N1 დანართით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულების ფორმა, რომელშიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით მოთხოვნილი არსებითი პირობები. (ხელშეკრულების საგანი, მოქმედების ვადა, დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლება მოვალეობანი, შრომის ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება და ა.შ.).

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მის პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაციით. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 თებერვლის N01-01/10 ბრძანების დანართი N1-ით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების/თანახელმძღვანელების ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები რომლის მიხედვითაც მას ევალება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

PDF Eraser Free

- მონაწილეობა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და თანდართული დოკუმენტების შემუშავებაში/მომზადებაში;
- ორგანიზება გაუწიოს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან გაცნობით შეხვედრებს და ჩაატაროს პრეზენტაცია;
- მიიღოს მონაწილეობა ლექცია-პრაქტიკულზე ან შეფასებაზე დასწრების პროცესში;
- მიიღოს შეფასების სისტემის (შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების) ვერიფიკაციის პროცესში;
- პროგრამის განხორციელების ყოველი ეტაპის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში შეფასების უწყისების ანალიზის საფუძველზე მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიული განათლები განვითარების სამსახურს;
- პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს კომუნიკაცია პარტნიორი ორგანიზაციების პასუხისმგებელ პირებთან, მოახდინოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება პრაქტიკის შესახებ და გაუწიოს მონიტორინგი პრაქტიკის პროცესს;
- მონაწილეობა მიიღოს შეფასების (თვითშეფასების კითხვარები) განხორციელებაში და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის განხორციელების გაუმჯობესების შესახებ.

5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართ N17-ში, რომლის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა ბიბლიოთეკის ფონდის და ბიბლიოთეკის ფონდის DVD და CD დისკების საინვენტარო ჟურნალი. აღნიშნული დოკუმენტებში დატანილი ინფორმაციის შერჩევითი წესით შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ „ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები დაწესებულებას გააჩნია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით.

6. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” 20-ე მუხლით განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სსსმ/შშმ) პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა. ამავე წესის 25-ე მუხლით დარეგულირებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ინდ. სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

7. განაცხადის შესაბამისი დანართი 5-ით წარმოდგენილი „ფერმერობის“ პროგრამის ბიუჯეტში არ მოიცავდა ინფორმაციას შემოსავლების სახეობისა და საზომი ერთეულის შესახებ. ონლაინ ინტერვიუირებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკური ხასიათის შეცდომას რის გასწორების მიზნითაც ცენტრში MES 1 20 0000600071 წერილით წარმოდგენელ იქნა კორექტირებული დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განაცხადის №4 დანართი
- კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა
- მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტომასალა
- ბიბლიოთეკის ფონდის და ბიბლიოთეკის ფონდის DVD და CD დისკების საინვენტარო ჟურნალი
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის N12 დადგენილება „პროფესიული მასწავლებლის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“
- უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 თებერვლის N01-01/10 ბრძანება
- “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”
- კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მცირეფასიანი და სწრაფადცვეთადი ფასეულობების და ძირითადი აქტივების საინვენტარო აღწერილობის დოკუმენტი
- ინტერვიურება

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესი“. რომლის მე-4 მუხლის 2 პუნქტით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური/დუალური) შემუშავების საფუძველია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტი. შესაძლოა პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტთან ერთად ითვალისწინებდეს სხვა სამართლებრივ აქტს. ამ წესით დარეგულირებულია პროგრამის შემუშავების, მისი ადაპტირების საკითხები - პროგრამის დოკუმენტის შემუშავება, მოდულების ადაპტირება, ინფორმაცია არჩევითი მოდულების შესახებ, აღჭურვილობის, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების შესახებ და ა.შ.

ამავე წესის მე-9 მუხლით დარეგულირებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების განხორციელების შეფასების, განვითარებისა და შეჩერების/გაუქმების პროცედურები. რომლის მიხედვითაც სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე.

2. პროგრამების შეფასება დაგეგმილია როგორც გამოკითხვის, ასევე ფოკუს ჯგუფების ინტერვიუირებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს რეაგირებისთვის უფლებამოსილ პირს შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის მიერ, პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან კოორდინაციით და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან თანამშრომლობით ხორციელდება პროგრამაში ცვლილებები და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეჩერება/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არგუმენტირებული წარდგინების საფუძველზე, იღებს აკადემიური საბჭო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

PDF Eraser Free

დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით 2.3.1.2 ინდიკატორთან მიმართებაში განსაზღვრული აქვს მეტწილი შესაბამისობა და დაგეგმილი აქვს შემდეგი აქტივობები: სტუდენტების, პედაგოგების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რაოდენობრივი კვლევის ჩატარება. „ამ კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განსახორციელებლად რეკომენდაციების მომზადება და შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.“ აღნიშნული ღონისძიებების გატარების საბოლოო ვადად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 2020 წლის 10 დეკემბერი.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული რეგულაციები ახლად შემუშავებულია და ბოლო პერიოდში დაწესებულებში სასწავლო პროცესი არ ხორციელდებოდა, (ხოლო „ფერმერობის“ პროგრამის განხორციელების უფლება ჯერ არ მოუპოვებია), დაწესებულებას ლოგიკურია არ გააჩნია პროგრამის შეფასების მექანიზმების ამოქმედების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, ექსპერტები აღნიშნულ ინდიკატორს სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში აფასებენ როგორც შესაბამისი, საკმარისი და გამართული მექანიზმების არსებობის გამო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესი“
- კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა
- ინტერვიურება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

PDF Eraser Free

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა აგებულია განმეორებითი შეფასებისთვის დროის შუალედის დაცვით. პროფესიული სტუდენტის კვირეული საშუალო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს (30 საკონტაქტო საათს). პროგრამით გათვალისწინებული მოდულის წინაპირობები დაცულია.

2. სტუდენტთა ინტერესების გასათვალისწინებლად და სხვადასხვა შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ასამოქმედებელი მექანიზმები, შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის კონსულტაციის ჩატარება გაწერილი გრაფიკის მიხედვით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ასამოქმედებელ მექანიზმებში განხილულია პროფესიული სტუდენტების შიდა მობილობა მომიჯნავე პროგრამაზე ან გარე მობილობა სხვა დაწესებულებაში, ვინაიდან კანონი პროფესიული განათლების შესახებ უშვებს პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დასრულებას იმ პროგრამაზე რომელზეც ჩაირიცხა, დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტების მიერ მიეცა რეკომენდაცია ჩანაწერი ითვალისწინებდეს აღნიშნულ გარემოებას.

3. „ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ სწავლების სარეკომენდაციო მეთოდებს, ხოლო კოლეჯში არსებული აღჭურვილობა სწავლების პერიოდში დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 მუხლით დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერების საფუძვლები. სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება ისე, რომ სწავლა განაგრძოს იმ ეტაპიდან რა ეტაპზეც შეიჩერა სტატუსი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით თუკი მობილობა განხორციელდა ისეთ პერიოდში, როცა პროგრამის ფარგლებში დასრულებულია სწავლება ცალკეულ სასწავლო მოდულებზე, ხოლო მობილობის მსურველ პირს აღნიშნული სასწავლო კურსი/მოდული მისი დაწესებულების პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ აქვს ბოლომდე შესწავლილი, სასწავლო უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება როცა პროფესიულ სტუდენტს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას.
ბ) არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო(მობილობით გადმოსული, სტატუს აღდგენილი, სხვა ობიექტური გარემოება), გარკვეული დროით საჭიროებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმიდან გადახვევას/სპეციალურ სასწავლო პროგრამას.

5. კოლეჯს, პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, განაცხადით წარმოდგენილი აქვს 4 მემორანდუმი: 1) სამეგრელო ზემო სვანეთის ვეტერინართა რეგიონალურ ასოციაციასთან, 2) უნივერსიტეტს, შპს „აგრო სახლსა“ და ასოციაცია „სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“ AFAD-ს შორის, 3) სსიპ „სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო“-სთან, 4) სენაკის მუნიციპალიტეტის ფიზიკურ პირთან ფერმერ მეცხოველესთან. აღნიშნული მემორანდუმებიდან 3 გაფორმებულია „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ხოლო 1 - ზოგადად აგრარული მიმართულების პროგრამების განხრით. არცერთი დოკუმენტი არ არის გაფორმებული კონკრეტულად „ფერმერობის“ პროგრამის ფარგლებში და მხოლოდ ერთში არის მითითებული კომპანიის გამტარუნარიანობა - 15 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების განმარტებით, პროგრამის პრაქტიკულ მოდულებს ახორციელებს ადგილზე და აღნიშნული მემორანდუმები გაფორმებული აქვს პროგრამის მდგრადობის მიზნით.

6. პროგრამის სპეციფიკა არ ითვალისწინებს განსაკუთრებული უსაფრთხოების წესების არსებობას/დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამა „ფერმერობა“
- “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”
- მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტომასალა
- კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მცირეფასიანი და სწრაფადცვეთადი ფასეულობების და ძირითადი აქტივების საინვენტარო აღწერილობის დოკუმენტი
- გაფორმებული მემორანდუმები
- ინტერვიურება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N33 დადგენილებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის 24-ე მუხლი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასებას. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულია, რომ დაწესებულება იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, სწავლის ყველა შედეგის მიღწევა დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით და მტკიცებულებების სახე განისაზღვრება შეფასების მიმართულებებითა და ინსტრუმენტებით. “შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ფორმა”.

დაწესებულებას წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის N12 დადგენილები დამტკიცებული აქვს "პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები", რომლის მიხედვითაც სწავლის შედეგების შეფასებამდე 10 დღით ადრე უნდა მოამზადოს შეფასების ინსტრუმენტი და ვალიდურობის დადგენის მიზნით შეათანხმოს დარგის სპეციალისტთან ან/და პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან.

აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების მე-13 პუნქტის მიხედვით მასწავლებელმა პროფესიულ სტუდენტებს დროულად (არაუგვიანეს მოდულით გათვალისწინებული შეფასებიდან 3 დღეში) უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შეფასების შედეგების თაობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 24-ე მუხლის მე-13 პუნქტთან - "პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ახდენს მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებას შეფასებიდან ერთი კვირის განმავლობაში. ინფორმირებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ელექტრონული ფოსტა, მესინჯერი, სმს, შესაფერისი პლატფორმა და სხვა". დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით მარეგულირებელ წესში დაშვებულია შეცდომა და ერთი კვირის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 3 დღე. ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

აღსანიშნავია, რომ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები, რომლის „თ.1“ ქვეპუნქტით სტატუსის შეწყვეტის ერთერთი საფუძველი შეიძლება იყოს "არასაპატიო მიზეზით სასწავლო გეგმის მიმდინარე ეტაპის განმავლობაში სასწავლო პროცესში (პირისპირ ან/და დისტანციური მეთოდებით სწავლება) არმონაწილეობა". აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია, არ ჩანს სასწავლო პროცესში რა პერიოდით არმონაწილეობა შეიძლება ჩაითვალოს სტატუსის შეწყვეტის საფუძვლად. დაწესებულების განმარტებით დაშვებული აქვთ ტექნიკური ხასიათის შეცდომა და არასაპატიო გაცდენებს ანგარიშობენ პროცენტული მაჩვენებლით, რომელიც მითითებული უნდა ყოფილიყო აღნიშნულ ჩანაწერში.

ამავე მუხლის „თ.2“ ქვეპუნქტით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, რომ "პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება იმ შემთხვევაში, თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა". აღნიშნული ჩანაწერი არ ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის დამატებით შეფასებას და ასევე არ ჩანს წინაპირობის არმქონე მოდულის/მოდულების სწავლის შედეგების დაუდასტურებლობა არის თუ არა სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 27-ე მუხლით განსაზღვრულია "გამოცდების შედეგების გასაჩივრება/აპელაცია", რომლის მიხედვითაც "პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდების შედეგებიდან/მოდულების დადასტურებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს რექტორს განცხადებით და მოითხოვოს მტკიცებულებების გაცნობა და გადასინჯვა". ვინაიდან მასწავლებელი სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ახდენს მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებას შეფასებიდან 3 დღეში, შესაძლოა 2 სამუშაო დღეში სტუდენტს ჯერ კიდევ არ ჰქონდეს შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისად ვერ შეძლებს გასაჩივრებას განსაზღვრულ ვადაში. დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია გამოცდების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის ვადები თანხვედრაში მოიყვანოს პროფესიული სტუდენტისთვის მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებულ ვადებთან.

2. დაწესებულებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის“ 26-ე მუხლით განსაზღვრული აქვს „სწავლის შედეგების შეფასების სისტემა (ვერიფიკაცია)“. ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება პროგრამის ხელმძღვანელს და მოდულის/მოდულების განმახორციელებელ პირებს განსაზღვრული აქვთ ფუნქცია-მოვალეობებითაც. დაწესებულების მიერ გაწერილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და იგი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები: „ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/თანახელმძღვანელებს და მოდულის/მოდულების განმახორციელებელ პირებს (შემდგომში „ვერიფიკატორები“)“. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული რეგულაციებით დაკმაყოფილებულია 2.4.2 კომპონენტის მე-2 ინდიკატორი. ვინაიდან ფუნქცია მოვალეობებით პროგრამის ხელმძღვანელს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცესში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/იმ შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.

3. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 24-ე მუხლის მიხედვით შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, ხოლო კონტროლი პროგრამის ხელმძღვანელს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად. მტკიცებულებები დაცულია და ინახება მოდულის შესაბამისი უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შემდგომ ნადგურდება პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის მიერ. მტკიცებულებების განადგურების შესახებ დგება შესაბამისი ოქმი და მტკიცებულებებიდან საუკეთესო შესაძლებელია გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს /სურვილისამებრ პროფესიულ სტუდენტს.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 24-ე მუხლის მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, განმავითარებელი შეფასების გამოყენების ძირითადი მიზანი არის პროფესიული სტუდენტების შემდგომ განვითარებაზე ზრუნვა. აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი შეფასების ჩატარების ფორმა/ინტენსივობა და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდება რეგულაციებში გაწერილი არ არის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“
- დაწესებულებას წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის N12 დადგენილება
- ინტერვიურება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი

24.07.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----